

# ბროილერის კონცენტრატი 36%

## BROILER MAX Premium



### სტარტი

#### რა არის BROILER MAX PREMIUM სტარტი - 36% კონცენტრატი?

BROILER MAX PREMIUM სტარტი - 36% კონცენტრატი დამზადებულია საქართველოში „ნუტრიმაქს“-ს მიერ, რომელიც შეიცავს ყველა აუცილებელ საზრდო ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელი ბროილერის გამოზრდას, აუმჯობესებს ფრინველის დღიურ წონამატს და საერთო პროდუქტიულობას.

BROILER MAX PREMIUM სტარტი - 36% კონცენტრატი არის მცენარეული წარმოშობის უმაღლესი ხარისხის პროტეინოვანი კონცენტრატი ბროილერისთვის, რომელიც გამოიყენება ფრინველის სიცოცხლის პირველი 15 დღის განმავლობაში.

#### რატომ BROILER MAX PREMIUM სტარტი - 36% კონცენტრატი?

- **BROILER MAX PREMIUM სტარტის** მარტივი დოზირებით მომხმარებელი შეძლებს დამოუკიდებლად მოამზადოს მზა საკვები, ნაკლები დანახარჯითა და მეტი მოგებით;
- **BROILER MAX PREMIUM სტარტი** ხასიათდება ფრინველისთვის მისაღები ფიზიკური ფორმით (ნაკლები მტვერისებური ფრაქცია), რაც განაპირობებს საკვების მინიმალური დანაკარგებით მიწოდებას და უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ ათვისებას;
- **BROILER MAX PREMIUM სტარტის** კონცენტრატით დამზადებული საკვების მეშვეობით ფრინველი იოლად ითვისებს საკვებ ნივთიერებებს;
- **BROILER MAX PREMIUM სტარტი** დამზადებულია მცენარეული წარმოშობის ნედლეულზე, რომელიც უზრუნველყოფს ბროილერის ჯანმრთელობას და ხარისხიანი ხორცის მიღებას;
- **BROILER MAX PREMIUM სტარტი** ხელს უწყობს ფრინველის იმუნიტეტის გაძლიერებას, მასში შემავალი დანამატები მხარს უჭერს ფრინველის მომწელებელი სისტემის ჯანმრთელობას და იცავს ფრინველს მიკოტოქსინებისგან.

#### მოხმარების წესი:

36% კონცენტრატი კომბინირებული საკვების დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ჩართულობით:

ასაკი	სიმინდი	BROILER MAX PREMIUM სტარტი - 36% კონცენტრატი
სტარტი (0-15 დღე)	64%	36%
15 დღის შემდეგ გამოიყენეთ BROILER MAX PREMIUM გროუერ ფინიში - 30% კონცენტრატი		

სასურველია, რომ 1-დან მე-7 დღის ჩათვლით წინილა იკვებებოდეს პრესტარტერით, რომლის გამოყენებით ბროილერის წინილა 7 დღის განმავლობაში აღწევს მინიმუმ 170 გრამს.

### **კვების რეკომენდაციები:**

- ბროილერს საკვები მიეცით შეუზღუდავად, მშრალი სახით, ყოველგვარი დანამატების გარეშე;
- BROILER MAX PREMIUM სტარტი - 36% კონცენტრატი - გამოიყენეთ ფრინველის სიცოცხლის პირველი 15-20 დღის განმავლობაში.

### **გაფრთხილება:**

სასურველი შედეგის მისაღწევად საკვების გარდა მნიშვნელოვანი ფაქტორებია: ხარისხიანი დეზინფექცია, ჯანმრთელი წინილა, ვაქცინაცია, წყლის ხარისხი, ტემპერატურული რეჟიმი, ვენტილაცია და ჰიგიენური პირობების დაცვა.

### **დაყოვნების პერიოდი:**

ფრინველის დაკვლა ნებადართულია საკვების ბოლო გამოყენებიდან 5 დღის შემდეგ.

### **გამოყენებული ინგრედიენტები:**

Trouw Nutrition-ის მიერ წარმოებული უმაღლესი ხარისხის Maxcare პრემიქსი, სოიოს შროტი, სოიოს კოპტონი, სიმინდის გლუტენი, მზესუმზირის შროტი, დიკალციუმფოსფატი, კირქვა, კოქციდიოსტატები, ამინომჟავების კრებული.

### **შენახვის ვადა:**

დამზადებიდან 3 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).

### **შენახვის წესი:**

მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.